# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (9.857)

8 – 15 დეკემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

13 დეკემბერს, 12 საათზე, დედოფლისწყაროს საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართება დედოფლისწყაროს 2019 წლის ადგილობრივი **ბიუჯეტის საჯარო განხილვა.** გთხოვთ, მობრძანდეთ და მონაწილეობა მიიღოთ ბიუჯეტის დაგეგმვაში.

## სამუშაო შეხვედრა საპროექტო და საზედამხედველო კომპანიებთან



გვ. 2

## ვაქცინაცია სავალდებულოა!



გვ. 5

## გაიცანით _ წლის საუკეთესო ფერმერი მამაკაცი!



გვ. 2

**ზურაბ მასურაშვილი:** „ჩემთვის ეს ტიტული ჯილდოთა შორის ჯილდოა. არ არის იოლი, იყო ფერმერი და, ამავდროულად, იყო წლის მამაკაცი ფერმერი. ჯილდოზე მეტად ჩემთვის სასიხარულოა ის, რომ მოვიპოვე ნდობა, იმისა, რომ ვიყო წლის ფერმერი.“

## 3 დეკემბერი – შეამჩნიეთ, აღიარეთ, იმეგობრეთ!



გვ. 3

## ქვემო ქედის სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა სასამართლომ გააუქმა



გვ. 3



გვ. 8

## ლევან წიქლაურმა პარიზში პროფესიონალურ კრივში გაიმარჯვა

*„პარიზი საოცარი ადგილია, ერთი ოცნებით ნაკლები დამრჩა... ძლიერი მეტოქე იყო, 11 მოგება და 1 მარცხი ჰქონდა, ამიტომ ჩემთვის საპასუხისმგებლო იყო“*

### ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2019 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 28 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

***იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!***

C M Y K

# 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების პრეზენტაცია გაიმართა

5 დეკემბერს, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით, კახეთის რეგიონული განვითრების სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების განხილვის მიზნით, შემაჯამებელი დასკვნითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, რაც ძირითადად, ითვალისწინებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების შერჩევას.

დასკვნით სამუშაო შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი იქნა GIZ-ის ექსპერტების დახმარებით მომზადებული, კახეთის რეგიონში შემავალი თითოეული მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა.

სამუშაო შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე - ილია ბეგიაშვილი, მხარის სახელმწიფო რწმუნებული - ირაკლი ქადაგიშვილი, მედიისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები დაესწრნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან შეხვედრაში მერის მოადგილე სოლომონ ღორაშვილი და მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი დავით ფხოველიშვილი მონაწილეობდნენ.



# სამუშაო შეხვედრა საპროექტო და საზედამხედველო კომპანიებთან



6 დეკემბერს, ქ. თელავში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ - ილია ბეგიაშვილმა და მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა - ირაკლი ქადაგიშვილმა, საპროექტო და საზედამხედველო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად, მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მიზანი, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიანად და ვადებში შესრულებაზე კონტროლი და იმ მიზეზების გარკვევა იყო, რაც სამუშაოებს აფერხებს. მინისტრის მოადგილემ უშუალოდ კომპანიების წარმომადგენლებისგან მოისმინა ინფორმაცია პრობლემების შესახებ. სამუშაო შეხვედრისას ასევე განისაზღვრა შემდგომი ნაბიჯები,

2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების გონივრულ ვადებში ეფექტურად განხორციელებისთვის.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: კახეთის სახელმწიფო რწმუნებულიც ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტების მერები. საუბარი დიალოგისა და მოსაზრებების გაცვლის რეჟიმში წარიმართა.

ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ვადებში და ხარისხიანად დასრულების მიზნით, მინისტრის, მაია ცქიტიშვილის დავალებით, სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული არიან, როგორც სამინისტროს წარმომადგენლები, ისე მშენებლები, ექსპერტები, რწმუნებულის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდება რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას.

შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსთან, დავით ფხოველიშვილთან ერთად დაესწრო.

# გაიცანით — წლის საუკეთესო ფერმერი მამაკაცი!

***საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით, ზუგდიდში, დადიანების სასახლეში ფერმერის დღე აღინიშნა, სადაც წარმატებული ფერმერები დააჯილდოვეს. ნომინაციაში " წლის ახალგაზრდა ფერმერი მამაკაცი", გამარჯვებული* ზურაბ მასურაშვილი *გახდა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მერძეული საქონლის ფერმა აქვს.***

ნომინაციაში გამარჯვებულის თქმით, ეს ჯილდო მისთვის ყველაზე ძვირფასია და ამხელა ნდობის გამოცხადება სასიამოვნო ტვირთია და სტიმული, რათა მეტ წარმატებას მიაღწიოს ფერმერული მეურნეობების განვითარების საქმეში:

**„ნომინაცია „ფერმერი მამაკაცი - 2018", რომელშიც ვიყავი ნომინირებული სხვა ღირსეულ ფერმერებთან ერთად, ძალზე სასიხარულო და მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის ამ ნომინაციაში გამარჯვება. როდესაც ბატონმა მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა კონვერტი და ჩემი სახელი და გვარი ამოიკითხა, მე სხვა ზურაბ მასურაშვილის მოლოდინში ვიყავი... ჩემთვის ეს ტიტული ჯილდოთა შორის ჯილდოა, არ არის იოლი, იყო ფერმერი და, ამავდროულად, იყო წლის მამაკაცი ფერმერი. ჯილდოზე მეტად ჩემთვის სასიხარულოა ის, რომ მოვიპოვე ნდობა, ნდობა იმისა, რომ ვიყო წლის ფერმერი. მინდა გადავუხადო მადლობა ყველას, ნინო ზამბახიძეს, ბატონ მინისტრს–ლევან დავითაშვილს, ჟიურის წევრებს, იმისთვის, რომ გამოხატეს დიდი ნდობა ჩემს მიმართ. წლის ფერმერის სახელმა მომცა უფრო დიდი სტიმული, რომ უფრო მხნედ ვემსახურო ჩემს საქმიანობას, ფეხი ავუწყო გათანამედროვეობას საქმიანობაში და უფრო მეტ წარმატებას მივაღწიო"** განაცხადა ზურაბ მასურაშვილმა.

ფერმერის დღეს სულ 23 წარმატებული ფერმერი და ფერმერული მეურნეობა დაჯილდოვდა. ნომინაციაში „ენდემური ჯიშების აღდგენის მხარდამჭერი ფერმერული მეურნეობა"კი ნოდარ ლატიბაშვილმა გაიმარჯვა. ლატიბაშვილს საგარეჯოში ძველი ქართული ჯიშის ხორბალი -„წითელი დოლი" მოჰყავს. ნომინაციაში „ექსპორტზე ორიენტირებული ფერმერი" ჯილდო ტრადიციული თუშური გუდის ყველის მწარმოებელი კოოპერატივის „ალაზნისთავი 2015"-ის დამფუძნებელს, გიორგი აბულიძეს გადაეცა. ხოლო წლის ბიო მწარმოებელი ფერმერი წნორელი ნიკოლოზ ბაგალიშვილი გახდა, რომელსაც ლობიო „თირკმელა" მოჰყავს.

ორგანიზატორების თქმით, ამ დღის მთავარი მიზანი ფერმერების პოპულარიზაცია და მათი საქმიანობის ხელშეწყობა იყო.

„იმას, რომ დადიანების სასახლის ეზოშია ეს ღონისძიება, ერთგვარი დატვირთვა აქვს. დიახ, ჩვენ არ ვართ გლეხები, ჩვენ ვართ ფერმერები და ბიზნესზე ორინეტირებული ადამიანები. სამეგრელოდან კი სტარტი იმიტომ ავიღეთ, რომ 60 პროცენტი დასავლეთის ფერმერების სამეგრელოდანაა. მთავარია, რომ მათი შრომა დავაფასოთ", - აღნიშნა ზამბახიძემ.

ღონისძიებას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმოამდგენლები დაესწრნენ. მათ შორის, შს მინისტრი გიორგი გახარია, ინფრასტურქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი მაია ცქიტიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და ეკომონიკის მინისტი გიორგი ქობულია. მათ საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული ფერმერების კუთხეები დაათვალიერეს, მოგვიანებით კი სიტყვით გამოვიდნენ და დღევანდელი დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„ეს ქვეყანა დგას თქვენზე ერთმნიშვნელოვნად და რაც უფრო სწრაფად გაიაზრებთ ამას თქვენ, მით უფრო სწრაფად გაიაზრებენ ამას გადაწყვეტილების მიმღები პირები. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ყოველდღიური კეთილდღეობა დამოკიდებულია თქვენზე, თქვენს შრომაზე და იმ ადამანებზე, რომლებსაც თქვენ ასაქმებთ. მინდა ერთმნიშვნელოვნად მივულოცო ეს დღე ნინოს (ნინო ზამბახიძე, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე-ავტ.) უდიდესი მიღწევაა, რომ ნინომ შექმნა ასე სტრუქტურირებული, სოციალურად ორგანიზებული ფერმერების ჯგუფი, რომლებმაც იციან რა უნდათ, რა მიზნები აქვთ და რას მიაღწევენ. მომავალი წლები იქნება შრომის, განათლების და ღირსეული საქმეების კეთების წლები, რომელმაც შედეგი უნდა მოუტანოს საქართველოს", - მიმართა გიორგი გახარიამ ფერმერებს.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი ქობულიას თქმით კი, სოფლის მეურნეობის საფუძველი ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა.

„ძალიან მნიშვნელოვანი დღე და პლატფორმაა იმისთვის, რომ ფერმერები ერთმანეთს შეხვდნენ. გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება და ჩვენ, როგორც მთავრობას, ის პრობლემები, რაც მათ აქვთ და ვიზეიმოთ ის წრმატებები, რომლებსაც მათ მიაღწიეს. სოფლის მეურნეობა და ფერმერები, როგორც სოფლის მეურნეობის საფუძველი, ძალიან მნიშვნელოვანი სტარატეგიული მიმართულებაა. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ეს მიმართულება კიდევ უფრო განვითარდეს და გაძლიერდეს. ჩვენ უნდა გავხდეთ ერთ-ერთი ექსპორტიორი ქვეყანა სოფლის მეურნეობის პროდუქციის", - განაცხადა ქობულიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა კი ფერმერებსა და ფერმერთა ასოციაციას მათი გაწეული შრომისა და საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

„ეს არის მნიშვნელოვანი და ლამაზი დღე, ძალიან კარგი ტრადიცია, რომელიც ფერმერებს აძლევს სტიმულს, რომ დაფასდეს მათი სამუშაო და ერთმანეთს გავუზიაროთ წარმატების მაგალითები. თითოეულ ფერმერს მათი გაწეული შრომისთვის და ფერმერთა ასოციაციას იმისთვის, რომ ასეთ გარემოში არის ამ ყველაფრის აღნიშვნა, მინდა მადლობა გადავუხადო", - თქვა დავითაშვილმა.

ღონისძიებას 600-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის, სხვადასხვა სექტორში წარმოდგენილი ფერმერები მთელი საქართველოდან დაესწრნენ, ამასთან, ზუგდიდში იმყოფებოდნენ დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის და სხვადასხვა სექტორული ასოციაციების წარმომადგენლები.

ფერმერის დღე 2015 წლიდან ყოველ 20 ნოემბერს აღინიშნება. მომავალ წელს აღნიშნული ღონისძიება შიდა ქართლში დაანონსდა.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# ქვემო ქედის სკოლის ყოფილი დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა სააპელაციო სასამართლომ გააუქმა

**4 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ გააბათილა სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც განათლების სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის რევაზ ბაიაშვილის თანამდებობაზე აღდგენა ჰქონდა დავალებული.**

სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილმა მიმდინარე წლის იანვარში მოსარჩელე მხარის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა და განათლების მინისტრის ბრძანება გააუქმა, რომლის საფუძველზეც 2016 წელს ბაიაშვილს თანამდებობის დატოვება მეორედ მოუხდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამინისტროს ბაიაშვილის თანამდებობაზე კვლავ აღდგენის ბრძანება უნდა გამოეცა. თუმცა, განათლების სამინისტრომ სიღნაღის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მაშინვე გაასაჩივრა და საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა.

რევაზ ბაიაშვილი მიიჩნევს, რომ თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გაათავისუფლეს, რის გამოც განათლების მინისტრის ბრძანების გაუქმებას, თანამდებობაზე აღდგენას და სახელფასო განაცდურის სრულად ანაზღაურებას ითხოვდა. გაუქმებული გადაწყვეტილების და მრავალწლიანი დავის მიუხედავად ბაიაშვილი ფარხმალის დაყრას არ აპირებს, გამარჯვებაში დარწმუნებულია და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უმაღლეს ინსტანციაში წაღებას გეგმავს.

„ეს ეტაპი წავაგე; მომდევნო და ბოლო ინსტანცია საკასაციო სასამართლოა, სამი მოსამართლის შემადგენლობით, და ჩემი აზრით, ობიექტურობის მეტი შანსით! ახლა უნდა გავასაჩივრო საკასაციოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება. იმედია, ერთ თვეში ვერ გამაგდებენ სკოლიდან... მაქვს მოლოდინი, რომ საკასაციოში ბევრად კვალიფიციური მოსამართლეები არჩევენ საქმეს; ასევე მაქვს მოლოდინი, რომ უახლოეს დღეებში ვნახავ სამსახურიდან გამოგდებულ თეონა გაბიჩვაძეს. ამ სულგაყიდულ ქალს ორჯერ ვყავარ გათავისუფლებული: 2012-ში, როგორც ნაციონალს, და 2016-ში, როგორც პორტირებულ ნაციონალს. გათავისუფლების მიზეზი ყველგან შაბლონურია: 2012 წელს ყველა ჩაერთო ჩემს წინააღმდეგ. ჩემს გათავისუფლების სპეც-ოპერაციაში უშუალოდ მონაწილეობდნენ: რაიონის გამგებელი, რესურსცენტრის უფროსი, უშიშროების უფროსი, პოლიცია... ერთ დღესაც შეიძლება აღმოაჩინო, რომ კანონმორჩილი, წესიერი, განათლებული ხელმძღვანელი „ხალხის და სახელმწიფოს მტერია“! ვიღაც იდიოტი კი შენი ჩაშვებით აღზევდება! მეც ასე დამღუპეს, ჩემს ასაკში სიმწრით მოპოვებული სამსახურის დაკარგვა აუწერელი ტრაგედიაა... ჯეჯელავაზე ნაწყენი არ ვარ, დირექტორის გათავისუფლებას მინისტრს არავინ ეკითხება, “ – განუცხადა გაზეთ „შირაქს“ რევაზ ბაიაშვილმა.





მოსარჩელე მხარე აუდიტის დასკვნაში მოყვანილ ნეპოტიზმის, ფინანსური და სხვა სახის დარღვევების ფაქტებს არ აღიარებს. მოსარჩელე მხარის ადვოკატის, სულხან კაპანაძის განმარტებით, განათლების მინისტრის ბრძანება უკანონოა, რაც მათ სარჩელში მყარი არგუმენტებითაა დასაბუთებული, ამიტომაც, სიღნაღის მოსამართლემ მათი სიმართლე ოფიციალურად დაადასტურა.

განათლების სამინისტროს პოზიციას სასამართლო სხდომებზე იურისტი მარეხ მაღრაძე იცავდა, ის კომენტარს არ აკეთებს, თუმცა სამინისტროს გადაწყვეტილების კანონიერებაში დარწმუნებულია.

„შირაქი“ დაინტერესდა, პირველ შემთხვევაში როგორ შეძლო ბაიაშვილმა თანამდებობაზე აღდგენა. 2014 წელს მან სკოლის დირექტორის სერტიფიკატი მოიპოვა, შემდეგ სამინისტროში გასაუბრების ეტაპიც წარმატებით გადალახა. ბოლო ეტაპზე კი სკოლის სამეურვეო საბჭომ აბსოლუტური ნდობა გამოუცხადა და ყველა წევრის მხარდაჭერით დირექტორად აირჩია, რის შემდეგაც თანამდებობაზე დაამტკიცეს. რამდენიმე თვეში კი ისევ გაათავისუფლეს.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში, რომელსაც სკოლების ზედამხედველობის ფუნქცია აქვს, იმთავითვე ამბობდნენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ზედა ინსტანციაში გასაჩივრდებოდა და განათლების სამინისტრო საკუთარ პოზიციას დაიცავდა. რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი ამბობს, რომ აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებულ არგუმენტებში, რის გამოც სკოლის დირექტორი გათავისუფლდა, ეჭვს ვერ შეიტანს. ის დარწმუნებულია, რომ სიღნაღის სასამართლოს გადაწყვეტილება ბაიაშვილის აღდგენის შესახებ არ აღსრულდება. რესურსცენტრში ირწმუნებიან, რომ სკოლაში აუდიტის შესვლა ამავე სკოლის პედაგოგების წერილის საფუძველზე მოხდა, აუდიტმა კონკრეტული დარღვევები გამოავლინა, რის გამოც რევაზ ბაიაშვილი დირექტორის თანამდებობიდან 2016 წლის ნოემბერში გათავისუფლდა.

ილია მარტყოფლიშვილი

# 3 დეკემბერი – შეამჩნიეთ, აღიარეთ, იმეგობრეთ!

**სიტყვა ადამიანის მიერ ადამიანის მართვის იარაღია. მეძახიან – მე ვბრუნდები... მაგინებენ – მე მიკვირს, ვბრაზდები და გარტყმით ვპასუხობ... მაგრამ ვემორჩილები. ეს მორჩილებაა – ჩემი ქცევა წინასწარ განპირობებული იყო.**

პოლ ვალერი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღე – 3 დეკემბერი, 1992 წლიდან გაეროს მიერაა დაწესებული. მისი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსების, უფლებებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერის მობილიზაციის ხელშეწყობაა. ის ასევე მიზნად ისახავს ინფორმირებულობის გაზრდას, რაც გამომდინარეობს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციისგან. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა და თანასწორობა განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას, სარგებლობდნენ სრულყოფილი და თანაბარი საყოფაცხოვრებო პირობებით სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში, რადგან მათ, ისევე როგორც სხვებს, თანაბარი წილი აქვთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ყოველ 3 დეკემბერს განიხილება ის თემა, რომლის მოგვარებაც ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კონკრეტული წლისთვის. 2018 წელს ასეთი თემა „ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორობის უზრუნველყოფა, ინკლუზიური, თანაბარი და მდგრადი განვითარების გაძლიერებაა 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფარგლებში. 2030 წლის დაპირებაა, რომ ის „არავის უკან არ დატოვებს“. შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირები, ცვლილების აგენტები, სწრაფად იმოძრავებენ ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისკენ. შეთანხმება ხელს შეუწყობს ყველასთვის სტაბილურ საზოგადოებას, მათ შორის კატასტროფების რისკების შემცირების, ჰუმანიტარული ქმედებებისა და ურბანული განვითარების თვალსაზრისით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები, აკადემიური ინსტიტუტები და კერძო სექტორი უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ერთი გუნდი, რათა შეიქმნას მდრგადი განვითარების მიზნები . „ამ საერთაშორისო დღეს, კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ ჩვენი ვალდებულება, რომ ერთად ვიმუშაოთ უკეთეს სამყაროში, რაც მოიცავს ყოვლისმომცველ და მდგრად გარემოს ყველასთვის, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები სრულდება“ - განაცხადა ანტონიო გუტიერესმა, გაეროს გენერალურმა მდივანმა.

ამ დღესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შეფასების ანგარიში წარადგინა.

მოკვლევა, 2017 წლის მარტიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა და როგორც საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის, ისე ეროვნული კანონმდებლობის ანალიზს ეყრდნობა. ნინო ლომჯარიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად საქართველოს მიერ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისა, სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად შშმ პირებისთვის გარემოს ფიზიკური ხელმისაწვდომობა რჩება.

ანგარიშის მიხედვით შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის კუთხით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება გაეროს კონვენციის მოთხოვნებს;
- ქვეყანას არ გააჩნია ამ მიმართულებით ერთიანი ხედვა და დოკუმენტი;
- რეგულაციები ფრაგმენტულად არის მოცემული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში და ვერ უზრუნველყოფს შშმ პირთათვის უსაფრთხო, დაუბრკოლებელი და მისაწვდომი გარემოს შექმნას ნებისიერ შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეში;
- 2014 წელს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“ ეყრდნობა მოძველებულ სტანდარტებს. არ ითვალისწინებს სხვადასხვა სახის შეზღუდვის მქონე პირთა ინტერესებს და აღსრულების ეფექტიან მექანიზმს;
- საქართველოს მუნიციპალიტეტებში უმეტესად არ არის დანერგილი შშმ მქონე პირთათვის სივრცის მოწყობის მარეგულირებელი სამშენებლო სტანდარტები და არ ხორციელდება სათანადო ზედამხედველობა მათ აღსრულებაზე.

ასევე სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ თანამედროვე ამერიკული სტანდარტი - „მისაწვდომი და გამოყენებადი შენობები და ობიექტები “ (ICC A.117), რომელზეც მთავრობა 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენი-



ლებაში მიუთითებს, ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი არ არის.

„დაბალია მის შესახებ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების რელევანტურ უწყებათა და მოქალაქეების ინფორმირებულობის დონე. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა აღიარებულ ამერიკულ სტანდარტს ერთადერთ სავალდებულოდ გამოყენებულ რეგულაციად არ განიხილავს“, - ნათქვამია ანგარიშში.

სახალხო დამცველმა პრობლემების დროულად და ეფექტიანად მოგვარების მიზნით პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს უკვე მიმართა.

სადღაც, ინტერნეტ გვერდების ლაბირინთში, რომელიც ყველას სულ სიღრმეებისკენ ექაჩება, ამოვიკითხე ნელსონ მანდელას სიტყვები: „მთავარი საქმე არ უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანთა მიმართ ფილანტროპიის წახალისება. მათ არ სჭირდებათ „უნარიანი“ ხალხის მფარველობა. ჩვენ გვმართებს კაცობრიობის უნივერსალური ღირებულებების გაცნობიერება; გააზრება თუ რამდენად სხვადასხვანაირია ადამიანური ცხოვრება; აღიარება, რომ ჩვენ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა არსებობა ჩვენი მრავალფეროვნების კიდევ ერთი სიმდიდრეა“.

ჩვენი ნათქვამი თითოეული სიტყვა იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ ადამიანები ვმართოთ, ვმართოთ სწორი არჩევანის გაკეთებისთვის, სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებისთვის, ვმართოთ ინფორმირებულობისთვის და ეს ყველაზე დადებითი წინასწარგანზრახული ქმედება იქნება, რაც კი შეიძლებოდა რომ გაგვეკეთებინა. სწორედ ამ ნაბიჯებით შეგვეძლება ჩვენი მრავალფეროვანი საზოგადოების სიმდიდრის შენარჩუნება, სადაც მომავალში ნაკლები აცრემლებული ადამიანი და ეჭვის თვალით მომზირალი საზოგადოება იქნებოდა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# ერთი ოჯახის ისტორია



***რედაქციაში წერილი მოვიდა. მისი ავტორი ლილი გოგილაშვილი თხოვნით მოგვმართავდა, როგორც გამონაკლისი, მისი ოჯახის შესახებ გაზეთის ფურცლებიდან მოგვეთხრო მკითხველისათვის, რადგან ის, რაც მისი ბავშვობისას მოხდა, ძალიან აწუხებს და უნდა, საქვეყნოდ მოინანიოს: „შეიძლება ძალიან გაგიკვირდეთ, მაგრამ, როცა ჩემი ხელით დავაინვალიდე სრულიად ჯანმრთელი დედა, მაშინ ბავშვი ვიყავი და არ მქონდა იმდენი განცდა და პასუხისმგებლობა. ახლა კი, სიბერეში მთელი დღეები საშინლად განვიცდი სინდისის ქენჯნას და სინანულს. სწორედ ამ ფიქრებმა გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა, იქნებ ამან შემიმსუბუქოს ეს ტკივილი. გთხოვთ, დამეხმაროთ და გამოაქვეყნოთ ჩემი ოჯახის ისტორია, რომელიც, ჩემი აზრით, არ არის ჩვეულებრივი“.***

**როცა წერილს გავეცანი, გავოცდი, ერთი შეხედვით ასეთი ბედნიერი ადამიანები, თურმე რამხელა ტკივილს და სევდას ატარებენ გულით. ამიტომ, გადავწყვიტე, შემომეთავაზებინა, თქვენთვის, ჩემო ძვირფასო მკითხველო.**

„მე ვარ ლილი გოგილაშვილი, ჩემი მამა იყო ავთანდილ გოგილაშვილი, ის ყოფილა ფიზიკურად ძალიან ძლიერი, ჰყვარებია ჭიდაობა. ერთხელ მამას უჭიდავია იმ დროის ლეგენდარულ მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილითან და დაუმარცხებია კიდეც. მამა მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1938 წელს, ცუდი ამინდის გამო, მოსავალი არ მოსულა. ხალხი შიმშილით რომ არ დახოცილიყო, მამას კოლწევრებისათვის სარეზერვო ფონდიდან გაუნაწილებია ხორბალი. ყოველ დროში ხომ არსებობდნენ ცრუ დამსმენები. ჰოდა, მამას უჩივლეს, თითქოს მან მიითვისა ეს მოსავალი, რის გამოც დაიჭირეს და მიუსაჯეს დახვრეტის მუხლი. მამიდაჩემ მარგოს მოსკოვში, ი.ბ. სტალინთან, გაუგზავნია ბარათი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. პასუხის მოლოდინში განაჩენის აღსრულება შეჩერებულა. პატიმრობიდან შვიდი თვის შემდეგ მოსულა პასუხი მის უდანაშაულობაზე და გაანთავისუფლეს ციხიდან. მამა ამის შემდეგ მუშაობას აგრძელებდა კოლმეურნეობაში ფერმის გამგედ.

1941 წლის 22 ივნისს, ომის დაწყებიდან მეორე დღესვე, მამა და ერთი მისი მეგობარი საკუთარი ინიციატივით წასულან წნორში გამანაწილებელ პუნქტში და იქიდან პირდაპირ ფრონტზე – სამშობლოს დასაცავად! მამამ სახლში დატოვა 25 წლის მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი: 9 წლის ვლადიმერი, 6 წლის ლილი და 3 წლის მიმოზა.

1943 წელს, მარტში, სოხუმიდან მივიღეთ მამაჩემის თხოვნით სხვისი ხელით დაწერილი ბარათი, საიდანაც შევიტყეთ, რომ მამა მოხდა ქუჩის ბრძოლაში და მძიმედ დაჭრილი წევს სოხუმის გოსპიტალში. წერილის მიღებისთანავე დედაჩემი ელენე და მამიდაჩემი მარიამი წავიდნენ სოხუმში მამაჩემის სანახავად. მამას ცალი ხელი და ფეხი მოკვეთილი ჰქონია. მათი ჩასვლიდან ორი დღის შემეეგ მამა გარდაიცვალა. მამიდას და დედას მოუხერხებიათ სასახლის გაკეთება და იქვე დაუკრძალავთ, ვინაიდან წითელწყაროში ჩამოსვენება იმ დროს ზღაპარი იყო.

ომის დამთავრების შემდეგ დაიკარგა მამას საფლავი, მაგრამ ჩემი ბიძა მიხეილ გოგილაშვილი განაგრძნობდა ძმის საფლავის მოძიებას. 1990 წლის სექტემბერში ბიძაჩემს მოუვიდა ბარათი, სადაც იტყობინებოდნენ, რომ სოხუმში არის სასაფლაო, სადაც აღმართულია ობელისკი. იქ დასახელებულ 176 კაცში იყო ავთანდილ დავითის ძე გოგილაშვილიც.

იმ დროისთვის ჩემი ძმა ვალიკო მუშაობდა ორჯინიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში აგრონომად. გამოიწერა ავტობუსი და 19 კაცი - შვილები, დები, ძმები, დისშვილები, ძმისშვილები დავბარგდით და გავუდექით სოხუმის გზას, სადაც გავჩერდით ორი დღე და ღამე.

იმ დროს სოხუმში უკვე დაწყებული იყო არეულობა. გადავიღეთ სურათები ობელისკთან. ჩემმა ძმამ დათქვა, რომ ყოველ 9 მაისს ჩავიდოდით საფლავზე, მაგრამ მას შემდეგ სოხუმში ჩასვლა დღემდე აღარ მოხერხდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ დედა მუშაობდა კოლმეურნეობაში. ძალიან ჭირდა ცხოვრება. ჩემი ძმა ვალიკო ტყიდან ზურგით ეზიდებოდა შეშას. ტყეში სამნი დადიოდნენ ერთად – ვალიკო და ძმები ოთარ და გივი ბიღიაშვილები. ზამთარში სკოლაში წასვლამდე ტყიდან მოჰქონდათ ერთი გზა შეშა და შემდეგ, იმ სველი ფეხსაცმელებით, მიდიოდნენ სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ნათესაობა გვეხმარებოდა, მაინც ჭირდა ცხოვრება. დედამ დაიწყო სარეცხი საპონის გამოხდა, რასაც სჭირდებოდა კაუსტიკური სოდა. აღნიშნული საპონი დედას მიჰქონდა სოფლებში და სცვლიდა ხორბალზე, რათა ბავშვებს პური არ შემოგვკლებოდა. ერთხელაც, კაუსტიკური სოდა მოგვიტანეს ისეთ დროს, როცა მე ვიყავი 9 წლის და სახლში ვიყავი მარტო. ამ ქალს არ გავუფრთხილებივარ, რომ ეს ბოთლი დამედგა უსაფრთხო ადგილას. მე ეს ბოთლი დავდგი ჭურჭლის კარადის გვერდზე და წავედი ბავშვებთან საციგაოდ. იმ დილით დედას შევპირდი, რომ ტყემალს ჩამოვიტან ბიძაჩემიდან-მეთქი. დედა რომ მოსულა სახლში და დაუნახია ბოთლი, უფიქრია, ლილიმ ტყემალი ჩამოიტანაო და გაუსინჯია, რასაც მოჰყვა დიდი უბედურება- დაეწვა საყლაპავი მილი, ერთი წლის და 10 თვის განმავლობაში საჭმელი არ უჭამია გარდა რძის, ჩაის და ბულიონისა. ზოგჯერ კი ისე ვიწროვდებოდა საყლაპავი მილი, რომ ერთ წვეთ წყალსაც ვერ სვამდა. დედის ავადმყოფობის დროს ჩვენ პატარები ვიყავით. თბილისში დედა მიჰყავდა მულისშვილ თინა გონაშვილს. დედას მკურნალობდა პროფესორი მიხეილ ჩაჩავა. უტარებდა პროცედურებს ვეშაპის ულვაშით საყლაპავის გასაფართოვებლად. ამ შემთვევამდე დედა იწონიდა 75 კილოგრამს, იყო მაღალი, მოხდენილი, ლამაზი ქალი, შავი, დატალღული თმებით, ავადმყოფობის დროს კი დარჩა 39 კილოგრამი. ცარიელი ძვალი და ტყავი. იმ დროისათვის ამ დაავადების სამკურნალოდ სხვა საშუალება არ არსებობდა.



ერთხელ ჩემმა ძმამ ვალიკომ შეინახა „წუმი“ მთელი დღე, საღამოს მხოლოდ პატარა მარილიანი სეფისკვერი შეჭამა. ახლაც თვალწინ მიდგა, მთელი დღე როგორ დადიოდა ოთახებში წყურვილისა და შიმშილის დასავიწყებლად. იმ ღამეს ნახა სიზმარში, რომ სადღაც იდგა დიდი სასწორი, იქ იყო კაცი, რომელმაც გაჰკრა სასწორს ხელი, გაასწორა და უთხრა: ასე გასწორდება ყველაფერი და კარგად იქნებაო. ძალიან გახარებულლები ვიყავით და იმედი მოგვეცა.

ომის დამთავრების შემდეგ, ვინაიდან თბილისშიც ჭირდა ცხოვრება, ზაფხულობით ჩვენთან ჩამოდიოდა მკერავი ქალი, რომელიც თავის საქმიანობაში იღებდა პროდუქტს. ამ მკერავს ჰყავდა ორი ქალიშვილი, ისინი სწავლობდნენ მოსკოვში.

ამ კეთილმა ქალმა შვილებს მისწერა ჩვენი ოჯახის გაჭირვება დედის ავადმყოფობასთან დაკავშირებით.

1948 წელს, ზაფხულში მოსკოვიდან მივიღეთ პროფესორ იუდინის ბარათი, სადაც იტყობინებოდა, რომ 6 თვეში ჩამოვიდოდა თბილისში და აქ გაუკეთებდა ოპერაციას. თუ ავადმყოფი მძიმედ იყო და იქამდე არ შეიძლებოდა მოცდა, მაშინ ავადმყოფი უნდა ჩაგვეყვანა თბილისში, იქიდან კი თვითონ წაიყვანდა მოსკოვში თავისი ხარჯებით და გაუკეთებდა ოპერაციას. პროფესორმა იუდინმა ვერ მოახერხა თბილისში ჩამოსვლა, ამიტომ საჭირო იყო დედის მოსკოვში წაყვანა. დედის მდგომარეობა კრიტიკული იყო. გავყიდეთ ჩვენი ნაკვეთის ნახევარი 500 მანეთად. ჩემმა დედის ძმამ, ილო ძიამ, გადაწყვიტა მისი მოსკოვში წაყვანა.

თბილისში რომ ჩასულან, დედას გადაუფიქრებია მოსკოვში წასვლა, დედას გადარჩენის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ ძმისთვის უთქვამს, რომ ჩემს შვილებს მამის საფლავი დაკარგული აქვთ, დედის საფლავიც ხომ არ უნდა დაკარგონო.

ისევ მიმიყვანე პროფესორ მიხეილ ჩაჩავასთან, თუ რამე მიშველა, თუ არა, აზრი არა აქვს ჩემს მოსკოვში წასვლასო. ჩაჩავასთან რომ მისულან, მას ძალიან გაჰკვირვებია – კიდევ ცოცხალი ხარო და უთქვამს, რომ ის პროფესორი ვერ ჩამოვიდა, მაგრამ მე ვიყავი მასთან 6 თვე პრაქტიკაზე, მე შემიძლია, ოპერაცია გავუკეთო მას იმ პირობით, თუ ხელწერილს დამიწერეთო. მას დარჩენილი აქვს ორი კვირის სიცოცხლე, იქნებ ოპერაცია გადაიტანოსო. ჩემმა ბიძამ დაწერა ხელწერილი, გაუკეთეს პირველი ოპერაცია, რომელიც 4 საათი გრძელდებოდა. ეს ოპერაცია იშვიათობას წარმოადგენდა, საჩვენებელი იყო და მას ესწრებოდნენ სტუდენტები. 2 კვირის შემდეგ გაუკეთდა მეორე ოპერაცია, რის შემდეგ ერთი კვირის მანძილზე ნერწყვიც კი არ უნდა ჩაეყლაპა. დედას საავადმყოფოში თავისი დედა ედგა თავზე. ერთი კვირის თავზე პროფესორ ჩაჩავას უთქვია ბებიასათვის: ხვალ, დილის 9 საათისათვის, რძე დამახვედრეო. მეორე დღეს დედას დაალევინა რძე და ნორმალურად წავიდა ყველაფერი. გახარებულ პროფესორს უთქვია: ჩემო ელენე, ახლა კი მალე გაგაგზავნი შენს შვილებთან კახეთშიო. პროფესორ მ. ჩაჩავას დედისთვის 5 წლის სიცოცხლე უწინასწარმეტყველებია.

მართლაც, მალე ჩამოიყვანეს დედა წითელწყაროში. არავინ არ დარჩენილა - ნათესავი, ნაცნობი და უცნობებიც კი, რომ არ მოსულიყო დედას სანახავად. რა არ მოჰქონდათ: ღორის ხორცი, ფქვილი, კარტოფილი, ხახვი და, ერთი სიტყვით, ვისაც რა ეშვებოდა. არავის არ სჯეროდა, რომ დედას ჭამა უკვე შეეძლო, უნდოდათ, თავისი თვალით ენახათ ეს სასწაული. გავიდა წლები. ახალი განსაცდელი მოგვევლინა. 1962 წელს დედას დაემართა ნაწლავების გადახლართვა. იმ დროს სიღნაღის და წითელწყაროს რაიონები შეერთებული იყო და ექიმს არ ჰქონდა უფლება, სიღნაღის ნებართვის გარეშე, ოპერაცია ჩატარებულიყო. დრო არ იცდიდა. მიუხედავად მრავალჯერ ცდისა, დარეკვაც ვერ მოხერხდა. მაშინ ქირურგმა ვასო ღვინიაშვილმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და მომაკვდავ ქალს ოპერაცია გაუკეთა. მან ოპერაციაზე ასისტენტებად დაიყენა გამოცდილი ექიმი ლევან ბოსტოღანაშვილი და გინეკოლოგი ნუნუ ღვინიაშვილი. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. რის შემდეგაც დედამ კიდევ იცოცხლა 10 წელი.

დედა ოპერაციების შემდეგ უფალს შევედრებია, რომ 50 წლამდე მაცოცხლე, შვილები დამაზრდევინე და დამაბინავებინეო.

მართლაც, დედა გარდაიცვალა 56 წლის ასაკში. სამივენი დაოჯახებულები ვიყავით და სამივეს გვყავდა ორ-ორი შვილი. დედის გარდაცვალების შემდეგ მიმოზას კიდევ შეეძინა ერთი ქალიშვილი – ია, რომელიც დღეს მრავალშვილიანი დედაა, ჰყავს ხუთი შვილი – 2 ვაჟი და 3 გოგონა, ერთმანეთზე უკეთესები. 2018 წლის 5 ივლისს კიდევ ერთი ტკივილი განვიცადეთ – ჩემს ძმას გარდაეცვალა ქალიშვილი მარინა. მას დარჩა 2 შვილი- თეონა და თორნიკე და ერთი შვილიშვილი ანა.

ჩემ ძმას ვალიკოს დარჩა ერთი ვაჟკაცი – გოჩა, ჩვენი სიამაყე და ყველას პატივისმცემელი, რომელმაც წლების განმავლობაში ყველაფერი გააკეთა საყვარელი დის გამოჯანრთელებისა და სიცოცხლისათვის, მაგრამ ამაოდ.

ძვირფასო რედაქცია, გმადლობთ, რომ 83 წლის ასაკში მომეცით საშუალება, გულიდან ამომეღო ის ტკივილი, რომელიც ამ ბოლო წლებში უფრო გამიმძაფრდა. გული მტკივა, რომ დედას ახალგაზრდობა გაუმწარდა ჩემი დაუდევრობის და დაუფიქრებლობის გამო. თავს დამნაშავედ ვგრძნობ და ვწუხვარ ძალიან. მინდა ვუთხრა ადამიანებს, რომ ყოველი საქმისას გამოიჩინონ წინდახედულება და გაიზიარონ თავისი საქციელის მოსალოდნელი შედეგები.



**სურათი გადაღებულია 1936 წელს თელავში, სათავმჯდომარეო საკვალიფიკაციო ექვსთვიან კურსებზე სწავლისას. სურათზე მარჯვნიდან პირველი ზის ავთანდილ გოგილაშვილი, შემდეგ კარდენახელი კოლა სესიაშვილი, მას ჯაფარიძელი დათება ბოსტოღანაშვილი მოსდევს, მის გვერდზე უზუნდრის (ახლანდელი გამარჯვება) კოლმეურნეობის ლეგენდარული თამვჯდომარე ვანო სოსიკოს ძე ფიროსმანაშვილია (წყალწყალა). დანარჩენი ორი მოქალაქე ვერ დავაზუსტეთ.**

*** * ***

ძვიფასო მკითხველო, ცალკე თხრობის თემაა ავთანდილ გოგილაშვილის საბრძოლო გზა და ფიქრები, რომელიც სულ საკუთარ ქვეყანას და ოჯახს ევლებოდა თავს. მე ხელთ მაქვს დროჟამისაგან გაყვითლებული, ქიმიური ფანქრით ნაწერი სამკუთხა ბარათები, რომელსაც მისი შვილები და შვილიშვილები, როგორც ძვირფას რელიქვიას, ისე ინახავენ და უფრთხილდებიან. წითელწყაროს რაიონი, ბულვარის ქუჩა №50 - ამ მისამართზე მოდიოდა სამკუთხა ბარათები, რომელიც ასე იწყებოდა: „დაძმური სალამი საყვარელ დაიკო მარგოს“ „სალამი ჩემ ძვირფას რძალ თინიკოს“, „ძმაო მიხეილ“, „სალამი ელიკოს“... და ყველა წერილში ერთიდაიგივეს იხვეწებოდა: „აბა, თქვენ იცით, როგორც უპატრონებთ ჩემ შვილებს და არ მაამშევთ პურს და გულს არ დაუჩაგრამთ, რაც საშუალება გაქვთ, ერთიმეორეს გაუნაწილეთ. თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, ამჯამად კარგად ვარ, მარტო თქვენი და შვილების დარდი მაწუხებს. ნეტავ ერთხელ კიდევ ენახა ჩემს თვალებს ყველა შინაური და განსაკუთრებით ნახევრადდაობლებული ჩემი შვილები. თუ ცოცხალი დავრჩი, სამაგიეროს სიკეთით გადაგიხდით. ახლა ერთ პატარა სურათს გიგზავნით, რომელიც 41-ში გადავიღე ნაწილში შრომის წიგნაკისათვის: სანამ ცოცხალი ვარ, წითელი ლენტით შეამკეთ და თუ სამამულო ომმა შემიწირა, შავი ლენტი შეაბით და არ დამივიწყოთ...“

სამწუხაროდ, ავთანდილ გოგილაშვილი 1943 წლის მარტში მძიმედ დაჭრილი სოხუმის „გოსპიტალში“ გარდაიცვალა და მისი სახელი ობელისკის ცივ ქვაზე დარჩა ამოტვიფრული. დედოფლისწყაროში კი მისი შვილები-ვალიკო, ლილი და მიმოზა შვილებში, შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გამრავლებულები ცხოვრობენ, მხოლოდ სოხუმი დარჩა შორს...

**მოამზადა**
ნაირა გორაშვილმა

# უგულებელყოფა არის ძალადობა!

***ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ადამიანური კაპიტალის განვითარებითაა შესაძლებელი, აქ კი წამყვანი როლი ხარისხიან და თანაბრად ხელმისაწვდომ განათლებას უკავია. მოზარდის პიროვნული განვითარებისთვის, სოციალიზაციისთვის და დასაქმების მიზნით პროფესიული უნარების შესაძენად, აუცილებელია მისი საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვა, მიუხედავად იმისა, რა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეთნიკური, რელიგიური წარმომავლობისა თუ აკადემიური მონაცემებისაა ის, სადაა მისი საცხოვრებელი ადგილი და როგორი საგანმანათლებლო ისტორია აქვს. განათლების სისტემის მიღმა დარჩენა ან ადრეული მიტოვება, განაპირობებს მრავალი ბარიერის წარმოქნას ადამიანის ცხოვრებაში თვითდამკვიდრების, ცხოვრების დაგეგმვისა და დასაქმებისთვის.***

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების (CSDC) ცენტრთან თანამშრომლობით, მართავს ცნობიერების ამაღლების კამპანიას „ყველა ბავშვი სკოლაში“.

კამპანია მიზნად ისახავს სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების მიმართ ინფორმირებულობის გაზრდას ბავშვის განათლების უფლების და მისი დარღვევის შესახებ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული უწყებების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებისათვის. მათ შორის:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ქვედანაყოფების - პოლიციის განყოფილებების თანამშრომლებისთვის;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტებისთვის;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლების;
- სოფლის ამბოლატორიების ადმინისტრაციისა და ექიმებისთვის;
- სკოლების ადმინისტრაციისთვის;
- თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამგეობის/მერიის თანამშრომლებისთვის;

აღნიშნული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები იმართება სხვადასხვა რეგიონების ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში: იმერეთი, კახეთი, სამეგრელო, თბილისი, შიდა ქართლი, აჭარა. 5 დეკემბერს ასეთი შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სკოლების, პოლიციის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, პირველადი ჯანდაცვის, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის გაიმართა. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის (CSDC) წარმომადგენელმა ნინო თოდუამ იმ გამოწვევებზე და პრობლემებზე ისაუბრა, რაც ბავშვების განათლების მიღმა დარჩენას მოჰყვება. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ძირითად გზავნილზე, რომელსაც ეს კამპანია ისახავს მიზნად. უგულებელყოფა, რისკებისა და საფრთხეების გაანალიზება, საზოგადოების დამოკიდებულება, სახელმწიფოს ბერკეტები და დისკრიმანაციის პრევენციის გზები იყო ის ძირითადი სასაუბრო თემები, რომელზეც მან დამსწრე საზოგადოებასთან ისაუბრა. ყურადღება გამახვილდა ასევე იმაზეც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის სკოლაში დარჩენა.

„ამ კამპანიის ფარგლებში სამინისტროსთან თანამშრომლობით და მხარდაჭერით, საინფორმაციო ბროშურებიც დაიბეჭდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საჭიროა ინფორმაციის სწორი მიწოდება როგორც უფროსებისთვის ასევე ბავშვებისთვისაც. საჭიროა, რომ ბავშვებმა სწორად გაიგონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და სავალდებულო მათი საშუალო განათლება და რატომ არის მათთვის ზოგადად განათლების მიღება აუცილებელი“ — აღნიშნა ნინო თოდუამ.



საინფორმაციო ბროშურაში ვკითხულობთ, რომ ადამიანებს, რომლებმაც ადრე მიატოვეს სწავლა, გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდებათ სამსახურის საშოვნელად, სოციალურად მეტად დაუცველები არიან და პროფესიული უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. ახალგაზრდა ადამიანები, რომელთაც არ დაუსრულებიათ სწავლა, არ ფლობენ შესაბამის ინფორმაციას თავიანთი და სხვისი უფლებების შესახებ. ისინი განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენენ სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი სილატაკისა და გარიყულობის გამო და გავლენას ახდენენ მომავალი თაობის ცხოვრების ხარისხზე. სწავლის ადრეულად მიტოვების მაჩვენებელი მოქმედებს ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. კვლევებმა აჩვენა, რომ თითოეული ადამიანი, რომელსაც არ დაუსრულებია ზოგადი განათლება, ქვეყანას ძალიან ძვირი უჯდება. მაგალითად, ერთ ასეთ პირზე ნიდერლანდებში იხარჯება 100, 000 ევროდან—200, 000 ევრომდე, ფინეთში კი ეს მაჩვენებელი 1, 1 მილიონ ევროს შეადგენს. ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი 16—18 წლის ახალგაზრდებისთვის იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ): 2, 6% ბულგარეთში, 1,6% უნგრეთში, 1, 3% კვიპროსში. ეს მაჩვენებლები შედგება სახელმწიფოს მიერ გაწეული შემდეგი ხარჯებისგან:

- სოციალური დახმარებები;
- ჯანმრთელობაზე ზრუნვის სერვისები;
- სამართლებრივი ზრუნვის სერვისები
- სპეციალური საგანმანათლებლო სერვისები;
- უმუშევრობის მომსახურების სერვისები;
- ეკონომიკური საქმიანობიდან მოგების გადასახადის დანაკარგები;

„მოზარდის განათლების მიღმა დარჩენას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ბავშვი წყვეტს სწავლას ან საერთოდ ვერ ერთვება სასწავლო პროცესებში პირადი გარემოებების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაბალი აკადემიური მოსწრების, საოჯახო მეურნეობაში დასაქმების და მრავალი სხვა ფაქტორის გამო. კონვენციის ოთხ ძირითად პრინციპზე საუბრისას (დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სიცოცხლის და განვითარების უფლება, განათლების მიღების უფლება, ბავშვების ინტერესების გათვალისწინება), საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ ბავშვის ინტერესები ყოველთვის დაცული უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვს რაც სურს, ყველაფერი ავუსრულოთ. რთული ქცევის მქონე ბავშვებთან უფრო მეტი მუშაობა გვჭირდება და უფრო მეტი ვალდებულება გვაკისრია მათი სწორ გზაზე დაყენების პროცესში“ — აღნიშნა ნინო თუდუამ.

კამპანიის ფარგლებში დაბეჭდილ ბროშურაში აღნიშნულია, რომ მოზარდთან დაკავშირებით წარმოშობილი გამოწვევების საპასუხოდ ხშირ შემთხვევაში სკოლა მოუქნელია ჰუმანურობის პრინციპზე დაფუძნებული თანმიმდევრული და ეფექტური მეთოდოლოგიის დეფიციტის გამო. განათლების მიღმა რჩებიან მოზარდები საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებიდან, როგორიცაა ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ოჯახურ მეურნეობაში ჩართული ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები, ე.წ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები და ა.შ. „სკოლებში არსებული სამოქალაქო განათლების შინაარსის მქონე კლუბები ხელს უწყობს ბავშვებს სოციალიზაციაში, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ სულ ერთი და იგივე ბავშვები არიან ჩართულები და ამ დროს სხვა ბავშვი იჩაგრება. იჩაგრება ამ ბავშვების ფონზე, ნაკლებად აქტიურია, ნაკლებად ან სულ არ გამოხატავს ინტერესს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ კლუბებში ბავშვების გადინება, ჩანაცვლება მოხდეს და მეტმა ბავშვმა განივითაროს სოციალური უნარები. ამის შემდეგ ისინი გაცილებით კონკურენტუნარიანები ხდებიან და შეუძლიათ დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას“ — განაცხადა ნინო თოდუამ.

საქართველოს კანონმდებლობით, ბავშვის განათლების უფლების დარღვევა კვალიფიცირდება ბავშვზე ძალადობად. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებაში ბავშვის განათლების უფლების უგულებელყოფა განისაზღვრა როგორც ძალადობის ერთ—ერთი ფორმა და გულისხმობს „მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საბაზისო განათლების უფლებების შეზღუდვას“.

ნინო თუდუამ ასევე აღნიშნა, რომ არასრულფასოვანი განათლება, მრავალი რისკის ქვეშ აყენებს მოზარდს. ხშირად ის ვერ ახერხებს საფრთხეების თავიდან არიდებას, ხვდება არასასურველი გავლენის ქვეშ, ებმება კრიმინალურ საქმიანობაში, ხდება დისკრიმინაციის და ძალადობის მსხვერპლი. ყველაფერი ეს მთავრდება იმით, რომ მას რიყავს საზოგადოება.

ბავშვთა განათლების უფლების დარღვევების პრევენციისთვის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ინფორმირება ბავშვის განათლებისა და განვითარების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში მათი პასუხისმგებლობის წარმოშობის საკითხებზე. აუცილებელია, თითოეულმა მოქალაქემ გაიაზროს საკუთარი როლი და მოვალეობა სხვადასხვა მიზეზით საგანმანათლებლო სივრცის მიღმა აღმოჩენილი მოზარდების განათლების უფლების უზრუნველყოფისთვის, ყველა ბავშვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვის და მათი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობისთვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# ვაქცინაცია სავალდებულოა!

***ვაქცინების წყალობით, ისეთი დაავადებები, როგორიც არის ყვავილი, პოლიომიელიტი და წითელა, მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ფაქტობრივად აღარ გვხვდება. მაგალითად, ამერიკაში ჩატარებული მასობრივი ვაქცინაციების შედეგად, 2016 წელს აშშ-ში წითელა დამარცხებულად გამოცხადდა, თუმცა, როგორც ჩანს, ბოლო წლებში ეს პროცესი შეფერხდა.***

მსოფლიო ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებით, მსოფლიოში წითელას შემთხვევები იმატებს. ამის მთავარ მიზეზად ვაქცინაციაზე უარის თქმა სახელდება. წითელას შემთხვევები განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონებში, ამერიკასა და ევროპაში იმატებს. საბოლოოოდ, 2016 წლის შემდეგ, წითელას შემთხვევების რაოდენობა 30% -ით გაიზარდა.

წითელას დაბრუნება ისეთ ქვეყნებში, სადაც ის პრაქტიკულად გამქრალი იყო, შოკისმომგვრელია. თუ ვაქცინაციის ჩატარების სიხშირე არ მოიმატებს, შესაძლოა ის ძალისხმევა, რაც კაცობრიობამ ამ დაავადების განადგურებისთვის ათწლეულების განმავლობაში გაიღო, წყალში ჩაიყაროს. ადამიანებმა, რომლებსაც ვაქცინაციაზე უარის თქმა სურთ, უნდა გაიხსენონ, რომ 2000 - დან 2017 წლამდე წითელას შემთხვევები 83 პროცენტით შემცირდა, რამაც 21 მილიონ ადამიანზე მეტის სიცოცხლე გადაარჩინა. შედარებისთვის კი, ვაქცინაციაზე უარის თქმამ 110 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მეცნიერების თქმით, პოპულაციური იმუნიტეტის მისაღწევად საჭიროა, რომ საზოგადოების 95 პროცენტს აცრა გაკეთებული ჰქონდეს. თუ საზოგადოების ამ რაოდენობას ეფექტური ვაქცინა გაკეთებული ექნება, ეს დაავადებისგან ხალხის დარჩენილ 5 პროცენტსაც დაიცავს, რომელთათვისაც აცრის გაკეთება ალერგიისა და სხვა მიზეზების გამო არ შეიძლება. გლობალურად ვაქცინის პირველი დოზით მოსახლეობის 85 პროცენტია დაცული, მეორე დოზით კი მხოლოდ 67. როგორც ვხედავთ, სასურველ 95 პროცენტიან ნიშნულამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

ვაქცინების შესახებ გავრცელებული ცრურწმენები და მსოფლიოს მასშტაბით არსებული გაუმართავი ჯანდაცვის სისტემები კაცობრიობის მიერ განვლილ მრავალწლიან პროგრესს საფრთხის წინაშე აყენებს. თუ გვსურს, რომ წითელას აფეთქებები თავიდან ავირიდოთ, აუცილებელია, გეგმიური ვაქცინაციის უფრო მკაცრი კონტროლი და ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება.



მოსახლეობისთვის აცრები სავალდებულო იქნება. აღნიშნულ ცვლილებებზე საქართველოს პარლამენტში უკვე მუშაობენ. კანონპროექტის ავტორების პოზიციით, სავალდებულო იმუნიზაციის შემოღება აუცილებელია ვაქცინაციის მსურველთა რაოდენობის გასაუმჯობესებლად და სწრაფი შედეგების მისაღებად. კანონპროექტის შემუშავების მიზეზი 2017 წლის ბოლოს რეგიონებში წითელას შემთხვევების მატება და ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის იმუნიზაციით დაფარვის არასაკმარისი დონე გახდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციით, 2018 წლის იანვრიდან სექტემბრამდე შუალედში 1350 შემთხვევა დაფიქსირდა. სავალდებულო იმუნიზაციის მხარდამჭერ არგუმენტებს შორისაა ბოლო დროს საქართველოში ვაქცინით პრევენცირებადი დაავადების აფეთქება. კანონპროექტის განმარტებით ბარათში ასევე საუბარია საზოგადოების უნდობლობასა და არასათანადო ცოდნაზე ვაქცინაციის შესახებ, რაც ხელს უშლის ეფექტურ პრევენციას. დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მოსწავლე ვალდებული იქნება სასწავლო პროცესის დაწყებამდე წარადგინოს ცნობა სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ჩატარების შესახებ. საქართველო წითელათი ინფიცირების მაღალი მაჩვენებლით ევროპაში მესამეა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# საქველმოქმედო ღონისძიებების ქრონიკა

***მეთორმეტე წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებობს ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“. ამ წლების განმავლობაში, მას ბევრ საზეიმო ღონისძიებასა და ფესტივალზე აქვს მონაწილეობა მიღებული. ჩატარებული აქვს უამრავი გასვლითი კონცერტი, საიდანაც ყოველთვის სიგელებითა და მედლებით ბრუნდებოდა.***

2014 წელს ანსამბლი „იმედი“ მიწვეული იყო ბულგარეთში მსოფლიო ფესტივალზე სახელწოდებით „ვარსკვლავთცვენა“. ანსამბლს ტრადიციისთვის არ უღალატია და ფესტივალიდან მონაწილეები გამარჯვებულები, დადებითი ემოციებით აღვსილნი დაბრუნდნენ სამშობლოში.

ანსამბლს სხვადასხვა დროს მოწვეული ჰყავდა ცნობილი სახეები: ნატო გელაშვილი, ნუგზარ კვაშალი, ნიკოლ შოუ, თუმცა მათი დიდი ღირსება და მიზანი საქველმოქმედო კონცერტებია, რომელიც 2013 წლიდან იწყება. პირველი კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდა მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის და დედოფლისწყაროს წმ. ელია თეზბიტელის მამათა მონასტრის კელიების მშენებლობას.

2014 წელს ანსამბლმა კვლავ ჩაატარა საქველმოქმედო კონცერტი და შემოსული თანხა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადაეცათ, ხოლო 2015 წელს გამართული საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა – 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ოჯახებს. 2016 წლის მაისის ბოლოს მუნიციპალიტეტის საზოგადოება კიდევ ერთ საქველმოქმედო კონცერტს დაესწრო. კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაერიცხა „სოლიდარობის ფონდს“, რომელიც 2014 წლის 9 ივნისს დაფუძნდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით.



ამ ყველა საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ანსამბლ „იმედის“ ქორეოგრაფი ხვიჩა ზუბიაშვილი. პედაგოგმა ბრწყინვალედ იცის, რომ ქართული ხალხური ცეკვის შესწავლა ემსახურება მოზარდის ფიზიკურ და ესთეტიკურ განვითარებას, მათი გემოვნების ჩამოყალიბებას, ტრადიციებისადმი პატივისცემას. როგორც მასწავლებელს, მას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია თითოეული მოსწავლის წინაშე, რათა ისინი აღიზარდონ წესიერი, შეგნებული, მოაზროვნე პიროვნებები. ისწავლონ მეგობრობა, პატივისცემა, სიყვარული და თანადგომა. მასწავლებელს თითოეულ მოსწავლეში დიდი ენერგია და სული აქვს ჩადებული და ცდილობს, ყოველი მათგანი ნორმალურ პიროვნებად და კარგ მოცეკვავედ გაზარდოს.





ანსამბლ „იმედის“ ცეკვები სრულიად თვითმყოფადია, ნამდვილი ქართული ცეკვებია, რომელიც მხოლოდ მათია და არავის ჰგავს. მათ ცეკვაში არის ისეთი მოძრაობები, რომელიც სრულიად ახალი გააზრებაა ქართულ ცეკვაში. შეიძლება ითქვას, რომ „იმედი“ ახალ, ორიგინალურ და სრულიად თავისებურ ცეკვის სტილს ამკვიდრებს, რომელიც გამოარჩევს სხვებისაგან. ეს ყველაფერი კი პედაგოგის მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ქალბატონ ეთერ ოთარაშვილის თანადგომა და ყურადღება ანსამბლის მიმართ. მისი მეგობრული, თბილი დამოკიდებულება, ბავშვების მიმართ დიდი სტიმულია ანსამბლის თითოეული წევრისთვის.

ანსამბლ „იმედს“ გვერდში უდგანან ამავე ანსამბლის წევრები: გიორგი ნატროშვილი და ქეთი წიკლაური. მათ ძალიან უყვართ ყველა ბავშვი და საკუთარ ცოდნას უზიარებენ. ორივეს სურვილი აქვს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში განაგრძონ სწავლა და ემსახურონ ამ ეროვნულ საქმეს.

30 ნოემბერს ანსამბლმა ჩაატარა მორიგი საქველმოქედო კონცერტი. შემოსული თანხა სრულად გადაირიცხა ბერი ანდრიას სახელობის ფონდში, რომელიც მოხმარდება სარეაბილიტაციო ცენტრ „ბედნიერი სახლის“ მშენებლობას. „ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქედო ფონდი“ ერთადერთი ფონდია საქართველოში, რომელიც ზრუნავს სიმსივნით დაავადებული ბავშვების, მოზარდების და მათი ოჯახების რეაბილიტაციაზე, რაც აუცილებელი პირობაა მათ გამოსაჯანმრთელებლად, მათი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად და სიცოცხლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

„სიმსივნით დაავადებულ ბავშვებზე ზრუნვის შვიდი წლის გამოცდილებამ აშკარად დაგვანახა სარეაბილიტაციო სახლის სასიცოცხლო აუცილებლობა. სახლისა, სადაც საშუალება გვექნება, რეაბილიტაციის სრული კურსი ჩავუტაროთ ბავშვებს. ჩვენი მიზანია კავკასიაში პირველი სარეაბილიტაციო ცენტრის სრული ინფრასტრუქტურით შექმნა, სიმსივნით დაავადებული ბავშვებისათვის და მათი ოჯახებისათვის. ბავშვები ჩვენი მომავალია! – აღნიშნა დედა თინათინმა.

კონცერტზე შესრულდა არაერთი ქართული ხალხური ცეკვა, სადაც საქართველოს ყველა კუთხე იქნა წარმოჩენილი. საქველმოქმედო კონცერტზე ასევე მოწვეული იყო ნინი შერმადინი, მან ძველი და ახალი ჰიტები შეასრულა დედოფლისწყაროს მაყურებლების წინაშე. ნინიმ დარბაზში მყოფ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და დიდი მადლობა გადაუხადა თითოეულს ასეთ კარგ საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის.

ინესა ამბარიანი

# ოკეანის გაღმაც სამშობლოზე ფიქრში...

მასწავლებლის პროფესია ყველასათვის ნაცნობი და ახლობელია. ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ყველას გვყავს მასწავლებელი და, ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ პედაგოგის პიროვნებას და პროფესიონალიზმს მნიშვნელოვანი კვალის დატოვება შეუძლია ადამიანის მომავალ ცხოვრებაზე. ეს პროფესია ბავშვების სიყვარულს და საქმის უსაზღვრო ერთგულებას მოითხოვს, რომ შენს აღზრდილებს თამამად შეეძლოთ გითხრან: " ვინც ვარ და რაც ვარ, შენით შევძელი და საგზლად შენი ამაგი დამაქვს " . დიახ, სწორედ ასეთ, ყველა მისი ნამოწაფარისთვის საყვარელ და პროფესიონალ პედაგოგზე უნდა შევაჩეროთ დღეს ჩვენი მკითხველის ყურადღება. N1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ქალბატონი მაყვალა პაპუაშვილია დღეს გაზეთის სტუმარი შორეული ამერიკიდან. მაყვალა მასწავლებელმა წელიწადნახევრის წინ დატოვა მშობლიური კუთხე, სულ რამოდენიმე დღის წინ ინტერნეტ სივრცეში მოვისმინე მისი საინტერესო ინტერვიუ ამერიკულ რადიო „საუნჯესთან“ და კიდევ ერთხელ გავაცნობიერე, უკვე მერამდენე ღირსეული და პატრიოტი ქართველი დაგვაკლდა (თუნდაც დროებით) ამ პატარა დედოფლისწყაროში და გადავწყვიტე, ეს დანაკლისი ოდნავ მაინც შეგვევსო მასთან გასაუბრებით.

**– მაყვალა მასწავლებელო, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენს შესახებ?**

– „სამოცდახუთიც ჩავათავე ფეხაჩქარებით,
წლები – დარდით და სიხარულით გაჯერებული,
აღმართ-დაღმართი მოვიარე სწრაფი ნაბიჯით,
კიდევ ბევრსა მთხოვს გული ჩემი გაურჩებული,
უფალს მადლობა აწ გავლილი ყოველი დღისთვის,
ამ სამყაროში უთვალავი ფერთა ხილვისთვის,
სილამაზისა და სიცოცხლის სიყვარულისთვის,
კიდევ მადლობა, გასავლელი ხვალინდელისთვის...“

დიახ, სამოცდახუთი წელია დავდივარ ამ უკიდეგანო დედამიწაზე და თითოეულ „ხეს, ბალახის ღეროს ვკოცნი ვეხვევი, ვეტყვი მიყვარხარ“...

იყო ბავშვობა, ბაღის ასაკი, მოსწავლეობა, (წითელწყაროს პირველ საშუალო სკოლაში), სტუდენტობა და მერე ისევ სკოლა, ჩემი მშობლიური სკოლა, ოღონდ უკვე მასწავლებლად. გამოვიარე წლები ლამაზი, ლაღი, შემდეგ უხელფასობა, გაყინულ საკლასო ოთახებში მუშაობა, გაჭირვება, გათოშილი ხელებით დაფაზე ვწერდით და ინტერესით ვიხილავდით ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს. სიცივისგან ათრთოლებული ხმით ვსაუბრობდით კლასიკოსების შემოქმედებაზე, მამულზე, მის წარსულსა და აწმყოზე, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, მოყვასის სიყვარული, შრომის გასურვილება, მართლის თქმის პრინციპი – აი ჩემი გაკვეთილების უცვლელი თემები. ვტკბებოდით პოეზიით და ვერაფერს გვაკლებდა ყოფითი პრობლემები.

**– ვიცით, რომ პოეზიით ხართ გატაცებული, თქვენი არაერთი ლექსის მოსმენით ბევრჯერ მოვხიბლულვართ...**

პოეზია ჩემი ჰობია, რომელიც უფლის მადლითაა გაჯერებული, თუმცა, ჩემი ლექსები მხოლოდ ჩემს გულს ახარებს და საზოგადოების ყურადღების ღირსად არ მიმაჩნია.

ერთი წელი და ექვსი თვეა, უკვე ამერიკაში ვიმყოფები. „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეს ვმასპინძლობდი ორი წელი. ჩვენს სკოლაში მოღვაწეობდა ჯოუთან (ჯეკი) ბრენდსი. შრომისმოყვარე და ქართული კულტურის დიდი ქომაგი გახლდათ. ხშირად გვესაუბრებოდა ამერიკის ყოფა-ცხოვრების შესახებ და მე გამიჩნდა ამ ქვეყნის ნახვის სურვილი. 2013 წელს შევედი ამერიკის საკონსულოში და უმალ მოვიპოვე 10 წლიანი ვიზა, თუმცა, ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ მაშინვე არ გავქცეულვარ ამერიკაში. 4 წელი საქართველოში ვიყავი. მიმძიმდა სამშობლოს, ოჯახის, სკოლის, მშობლების დატოვება...მაგრამ, ერთ დღეს, რომ იტყვიან, ცამოწმენდილზე ავად გავხდი და აღმოვჩნდი წმ. მიქაელის სახელობის საავადმყოფოში, სადაც ე.წ „სტენდირება“ გამიკეთეს. ამან ძალიან შემაშინა და გადავწყვიტე, დიაგნოზის დაზუსტების, გამოკვლევისა და მკურნალობის მიზნით წამოვსულიყავი ქალაქ ნიუ იორკში, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩემს ექიმს, ჩვენი სკოლის აღზრდილს – ნინო პოპიაშვილს.)

ამერიკაში, ამ უცხო ქვეყანაში, თუ არავინ დაგეხმარა, ძალიან ძნელია გზა გაიკვალო. და მეც ჩვენი რაიონის მკვიდრმა, ყველასათვის საყვარელმა ექიმმა, გულიკო ყოჩიაშვილმა მარტო სახლი კი არა, გულის კარიც გამიღო, მარტოსულობა ადვილად დამაძლევინა. გულიკოს ძალიან დიდი გული აქვს, მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულის სატარებლად. მადლობა ამისთვის მას. ძალიან მინდოდა, ჩემი საყვარელი საქმე აქაც გამეგრძელებინა და გამიმართლა კიდეც. ნიუ-იორკში არის ქართული კულტურის ცენტრი „ფესვები“, სადაც ემიგრანტის შვილებს ქარულ ენას ვასწავლი. სულ ახლახან ქართული კულტურის ცენტრმა „საუნჯემ“ შემომთავაზა, რომ მშობლიური ენის სწავლების ღირსეულ საქმეს ჩავუდგე სათავეში. „საუნჯის“ დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი არის ქართველი ხალხისთვის კარგად ნაცნობი, ანსამბლ „მზიურის“ წევრი პირველი „მზიურელი“ ნიკო ნადირაშვილი. ვის, ვის და ყველაზე მეტად ემიგრანტის შვილებს სჭირდებათ ქართული სულის შენარჩუნება, ქართული სისხლი და გენი რომ გადავარჩინოთ, უნდა ვაზიაროთ „დედაენას“, სწორედ ემიგრანტების შვილებმა უნდა იცოდნენ, რა არის სამშობლო, საიდან მოდიან, ფესვები როგორ ეძახით, როგორ მოვედით დღემდე და რომ სამშობლოს სიყვარული მუდამ გულით უნდა ვატაროთ.

**– გვესაუბრეთ მანდაურ ყოფა-ცხოვრებაზე...**

ამერიკა ეკონომიკურად ძლიერი და გამართულია, ამიტომ მას ოცნებების ასრულების ქვეყნად მიიჩნევენ. დავდივარ სხვისი ქალაქის ქუჩებში და გულდაწყვეტილი ვფიქრობ, ვისზე ნაკლებია ჩემი ხალხი და ქვეყანა, რომ არა აქვთ ასეთი ცხოვრების პირობები? რატომ გვყავს ამდენი გაჭირვებული? სოციალურად დაუცველი? რატომ ფიქრობს ჩემი ხალხი მხოლოდ თავის გადარჩენაზე და არა ბედნიერებაზე? ერთი რამ მაოცებს, 2-3 საუკუნეში როგორ შეძლეს ასეთი ქვეყნის აშენება და განვითარება?აქვე მაქვს პასუხი – შრომით! აქ ყველა მუშაობს, დილიდან ფუტკრებივით მიიჩქარიან სამსახურებში, ყველამ თავისი საქმე იცის! მაღალია პასუხისმგებლობის გრძნობა, კანონი კანონობს, უსამართლობა ფეხს ვერ იკიდებს...

**– რამდენად ძნელია სამშობლოდან ასე შორს ყოფნა და როგორ უადვილებთ ერთმანეთს ყოფას?**

– სამშობლოდან შორს ყოფნა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ემიგრანტობა ასეთი რთული იქნებოდა, გენატრება ყველა და ყველაფერი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველებს აქ განსაკუთრებით უყვართ ერთმანეთი, თანადგომა და დახმარება აადვილებს აქ ყოფნას. ქართული ეკლესია, ქართული კულტურის ცენტრები, საზეიმო შეკრებები ჩვენიანებს აახლოვებს და შესაბამისად, დარდსაც უმსუბუქებს.



**– ყველაზე დიდი სამი ნატვრა...**

– ნატვრა ბევრი აქვს ადამიანს, მაგრამ სამ ნატვრას მართლაც გამოვყოფდი:

-ჩემი ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!

-საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღვგვიდგინე, უფალო!

-სამშობლო ისე გამიძლიერე, რომ არცერთი ქართველი არ ფიქრობდეს მის მიტოვებას!

**– რას უსურვებთ სამშობლოში დარჩენილ თქვენს ყველა ახლობელს და გულშემატკივარს...**

ყველას, ვისაც ვჭირდებოდი და მე მიტოვება მომიხდა, ბოდიშს ვუხდი და პატიებას ვთხოვ, მიყვარხართ და მენატრებით!

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მოგილოცოთ დამდეგი 2019 წელი, გისურვოთ ჯანმრთელობა, სიკეთე, სიხარული, სიყვარული და, რაც მთავარია, ხვავი და ბარაქა! არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს უფლის წყალობა და მფარველობა!

**ნიუ იორკი, 2018 წელი, 7 დეკემბერი, სიყვარულით, თქვენი მაყვალა პაპუაშვილი.**

ელზა ხარაშვილი




გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1973 WLIS DEKEMBERI

● `ZALIAN GAXSIRDA AXALGAZRDOBIS UMSGAVSO SAQCIELI. SKOLIDAN `ITACEBEN~ MCIREWLOVAN QALISVILEBS, RAC IMAZE MIUTITEBS, ROM OJAXSI DA SKOLEBSI DABALIA ARMZRDELOBITI MUSAOBA. ERT SARAMOS SOFEL WITELWYAROSI SAXLSI MIDIODNEN RUSULI SKOLIS MERVE KLASELEBI ROZA RAJDENIS ASULI TEVONIANI DA LIDA MIKIRTICIS AS. KATIKIANI. GZAZE WAMOEWIAT `MOSKVICI~ (08-41 GAK) MATIVE MEZOBLEBI GURAM DA IOSEB BABAJANIANEBI, ZALIT CASVES LIDA DA GAURKVEVELI MIMARTULEBIT WAVIDNEN. ROGORC KI POLICIAS ECNOBA AMBAVI, SEDGA OPERATIULI JGUFI. DAMNASAVEEBS MIAGNES ZVEL ANAGASI. CAMOARTVES QALISVILI DA CAABARES MSOBELS. DAMNASAVETA MIMART MALE IMSJELEBS SATANADO ORGANO, ~ - WERS T. ELIZBARASVILI, SS WITELWYAROS RAIGANYOFILEBIS SISXLIS SAMARTLIS INSEQTORI.

● BOLO XANS WITELWYAROSI UCVEULO AMINDI DAIWIRA, SAKMAOD ACIVDA DA ZALIAN MOTOVA. XEEBMA VERA GAUZLO DA BEVRGAN GADATYDA. RAODEN DASANANIA WITELWYAROS RKINIGIS SADGURIS MOEDANZE MDGARI WADARIS MTLIANAD WYOBILEBIDAN GAMOSVLA. WADARI MARTLAC ROM AM ADGILIS MSVENEBA IYO, GANSAKUTREBIT ZAFXULIS CXEL DREEBSI, RADGAN MTLIANAD CRDILAVDA MOEDANS. ABA DRES SEXEDET, GADATEXILI ZIRKVIRA MOSCANS! ROGORC SADGURIS MORIGE MILICIONERMA LEQSO SALVASVILMA GVITXRA, WADARI 1962 WELS, MARTSI DAURGAVT, 12 WLIS NALOLIAVEBI ULAMAZESI WADARI ERT SARAMOS NALEQIS MSXVERPLI GAXDA. SAD IYVNEN MORIGEE RATOM ERTXELAC AR GAAXSENDAT, TOVLISGAN DATVIRTULI XE DAEFERTXA AMDENI WELIA WIQOBIT USXES WYALI, TITOEULMA RKINIGZELMA GAMOZARDA... AXLA, ROCA YVELA DIDI GULISYURIT EKIDEBA RAIONIS GAMWVANEBA-DAMSVENEBIS SAQMES, ZOGJER UBRALO UYURADREBOBAS DASANANI SEDEGI MOAQVS.

● ZEMO QEDSI MOQALAQE TARIEL SVARIZE UZOMOD DATVRA QELEXIS SUFRAZE, SEMDEG MARTAVDA SAKUTAR MOSKVICS DA MOAXDINA AVTOAVARIA. GARDAICVALA ERTI, XOLO SXEULIS MZIME DAZIANEBA MIIRO MEOREM. CXADIA SEIZLEBODA AVARIIS TAVIDAN ARIDEBA, TU GVERDIT MJDOMNI AR MISCEMDNEN UFLEBAS NASVAM MDGOMAREOBASI EMARTA MANQANA. AMIT SVARIZEC AICILEBDA 10 WLIAN SASJELS DA GVERDIT MJDOMIC GADAURCEBODA SIKVDILS.

● OBIEQTURI MIZEZITAC KI SAANGARISO KREBAS ESA TU IS KOMKAVSIRELI ROM AR DAESWROS RAODEN SAMWUXAROA, MIT UFRO ARASAPATIO MIZEZIT. GANA RA GADAUDEBELI SAQME HQONDAT KOMBAINER VIQTOR RIABOVS DA SAMSENEBLO BRIGADIS BRIGADIRS TENGIZ MOLASVILS, ISINI KREBIS DAWYEBAMDE KANTORASI YOFILAN, SEMDEG KI CAM CAYLAPA, TU MIWAM MAT GZAKVALS VERSAD MIAGNES. BINAZEC KI GAUGZAVNES `MXLEBLEBI~, ROM KVLAV DAEPATIJNAT KREBAZE, MAGRAM VIN MOGCA? SAXLSIC AR ARMOCNDNEN. RITI UNDA IMARTLON TAVI? KREBIS UMIZEZOD GACDENA ARAVIS EPATIEBA, MITUMETES V. SAMADUROVS, ROMELIC KOLMEURNEOBIS MOWINAVETA DAFAZEA GAMOKRULI. SURATIA GAMOFENILI, ROGORC MOWINAVE KOMBAINERI, MAGRAM KREBAZE ARINISNA, ROGORC UDISCIPLINO KOMKAVSIRELI. ISIC ITQVA, ROM ZOGIERTI DROULAD AR IXDIS SAWEVRO GADASAXADS.

● ROCA SAXALXO KONTROLI MOIKOWLEBS TAVNEBOBA ICENS TAVS. SAXALXO KONTROLIS JGUFIS WEVREBI WLOBIT AR GAMOSULAN ADGILOBRIV RADIOGADACEMEBSI. TAVIANT MUSAOBASI ERTI WERILIC AR GAMOUQVEYNEBIAT RAIONUL GAZETSI. MARTALIA JGUFMA GAMOAVLINA MARCVLEULIS CANTIT QURDOBIS 4 SEMTXVEVA, MAGRAM BOLOMDE DA PRINCIPULAD AR MIHYVA SAQMES, RATA DAMNASAVETA SAQME AMXANAGUR SASAMARTLOS GAERCIA. PURPRODUQTEBIS SAREALIZACIO BAZASTAN SEQMNIL SAXALXO KONTROLIS JGUFS ASETI ANGARISI WELS ERTXEL AQVS CABAREBULI. BEVRI NAKLIA, CVENI GAZETIS FURCLEBZE XSIRAD DAWERILA DA REDAQCIA XSIRAD AWYOBS REIDS, MAGRAM KONTROLIS JGUFS MSGAVSI SEMOWMEBA-REIDEBI AR MOUWYVIA. SAWARMOS PARTORGEBS ROM VEKITXEBIT, RAIME WINADADEBA, REKOMENDACIA, AN SENISVNA TU MIURIAT KONTROLIS JGUFISGAN, GVPASUXOBEN, ROM ARAFERI SEMOSULA. ROGORC CANS PARTIULI ORGANIZACIIS DAXMAREBA ZALZE SUSTI DA FORMALURIA.

## 1979 WLIS DEKEMBERI

● CASLILIA SEJIBREBEBI, VER SRULDEBA GEGMEBI. PROFKAVSIREBIS KREBA CATARDA, SADAC ARINISNA, ROM MATTAN SEQMNILMA 7-MA KOMISIAM JER KIDEV VER GADAWRES IS SAKITXEBI, RAC EVALEBODAT. MARTALIA CDILOBEN SOCSEJIBREBIS FARTOD GASLAS, MAGRAM TVITKRITIKIT ARNISNES, ROM JERJEROBIT GEGMEBI TITOEUL INDIVIDZE DAYVANILI AR ARIS. CALKEULMA MUSAKEBMA AR ICIAN RA CIFROBRIVI MONACEMEBIT EJIBREBIAN, RA GEGMA-VALDEBULEBA AQVT. SEJIBREBA FAQTIURAD CASLILIA. WELS KVERCXI UNDA CAEWYOT MARTIS TVESI, MAGRAM MAISIS BOLOS CALAGDA. MSENEBARE OBIEQTEBIS MWYOBRSI VER CADGOMIS GAMO. AMITOM MOMAVALI WLISTVIS SASUALEBA AR AQVT GEGMA SEASRULON. GULAXDILAD AMBOBEN, ROM CAMORCEBIAN FRINVELIS SADRERAMISO WONAMATEBASIC.



ზემო ქედის სასოფლო საჭოს ახალი შენობა.
ფოტო: ბორის აჟანენკოსი – 1973 წელი

● WELI MTAVRDEBA, WLIURI GEGMEBI KI JERAC AR ARIS CNOBILI, SITYVA SXVAA - SAQME SXVA. ROCA RAIONSI TVITDAMSVIDEBIS ATMOSFERO SUFEVS. SAXELMWIFO DAVALEBEBI AR SRULDEBA, PARTIULI ORGANIZACIA KI DUMS... PARTIA MXOLOD OQMOBANAS TAMASIT SEMOIFARGLEBA. MSROMELEBI KI GANICDIAN TRANSPORTIS, MASALEBISA DA MEQANIZMEBIS MKVETR NAKLEBOBAS.

● AMASWINAT GAMOVAQVEYNET WERILI: `GVINDA SAPARIKMAXERO~, WERDNEN, ROM QALEBI UMETES DROS SAMSAXURSI ATAREBEN, SAPARIKMAXEROSI WASVLIS DRO AR RCEBAT. WITELWYAROS QALTA SAPARIKMAXERO KI DASOREBULIA CENTRIDAN, XSIRAD DID RIGSI DGOMAC UWEVT. GVTXOVDNEN, KURISKOS BARSI, FOTO-ATELIES GVERDIT GAEXSNAT SAPARIKMAXERO. SAYOFACXOVREBO SAMMARTVELOS UFROSI G. ROBITASVILI GVWERS: `AMJAMAD ARNISNUL ADGILAS SAPARIKMAXEROS GAXSNIS SASUALEBA AR GVAQVS, FARTOBIS UQONLOBIS GAMO. GARDA AMISA, AQ SAPARIKMAXEROS AMOQMEDEBA GAMOIWVEVS QALAQIS CENTRSI ANTISANITARIAS DA SAYOFACXOVREBO OBIEQTEBIS DAQSAQSVAS, RAC AR IQNEBA GAMARTLEBULI. SAKITXI DAISVA SESABAMIS ORGANOEBSI DA TXOVNA SESAZLEBLOBISDAGVARAD DAKMAYOFILEBUL IQNEBA.~

● ARSEBOBEN PARTIULI ORGANIZACIEBI, ROMELTAC QARALDZE YVELAFERI GAWESRIGEBULI AQVT, SISTEMATIURAD SWEREN OQMEBS, IWVEVEN KREBEBS, GAUCDENLAD ATAREBEN MECADINEOBEBS POLITGANATLEBIS QSELSI, MAGRAM SAMEURNEO MACVENEBLEBI MAINC DABALIA. NAKLOVANEBEBS VIN MOSTVLIS, AURACXELZE AURACXELIA. TITQOS PARTIULI ORGANIZACIA WARMOEBA ERTMANETISGAN DAMOUKIDEBELIA DA CALK-CALKE ARSEBOBEN. ASETTA RICXVS MIEKUTVNEBA MAGALITAD ALAZANMSENIS GAWYLOVANEBIS # 4 SAMMARTVELOS PARTIULI ORGANIZACIA.

● MEORE KLASIS SAPROGRAMO MASALASI SEMAVALI R. ERISTAVIS LEQSI `WISQVILI~ SWORE WISQVILSI SEISWAVLES OZAANIS SKOLIS MOWAFEEBMA. RIA GAKVETILI TIBAANIS WYLIS WISQVILZE CAATARA MASWAVLEBELMA R. BERIASVILMA. BAVSVEBM TAVIANTI TVALIT NAXES CIBRUTI TU DOLABI, VARCLI TU XIMIRIS ZIRSI MIKRULI KRIWA, SAREKELA.TAVAD GAXDNEN DAFQVIS MOWME-MONAWILENI. ES SAINTERESO DA ZALIAN MIMZIDVELI GAKVETILI ARASODES DAAVIWYDEBAT MEOREKLASELEBS.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა




შვეულად: 1. შინაური ფრინველი, რომლის კვერცხის ნაჭუჭი განსაკუთრებით მტკიცეა 2. ჯგუფ "დიიფ ფარფლის" სოლისტი იან ...;3. რომელი ბალნისგან ამზადებენ კბილის ჯაგრისებს4. ყველაზე მტკიცე მინერალი. წარმოადგენს გრაფიტისა და მურის სახესხვაობას 6. ჰოლანდიაში, რომელ პროდუქტს ფარავენ ცვილით 7. თვალის ფერადი გარსის ანთება 12. წინაღობის შებრუნებული სიდიდე 13. შუა საუკუნეებში, რომელი პროფესიის ადამიანი ითავსებდა ქირურგის მოვალეობას 14 რას უდრის 1000 მმ 15. რომელი ლითონისგან შედგება დედამიწის ბირთვი 16. ქალაქი, რომელიც ტოკიომდე ქვეყნის დედაქალაქი იყო 17. ინერტული აირი. იყენებენ შუქრეკლამებში 18. ძირითადად რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე სახლობდნენ უძველესი ინკები 19. ჯიხვების ჯოგი 23. ჯგუფი ადამიანების, რომლებიც ბურჟუაზიური ქვეყნების თეატრებში დაქირავებული ჰყავდათ ტაშის დასაკვრელად 24. ქალაქი, სადაც დაწვეს ჟანა დ, არკი 25. რაიმეს საზომი დანაყოფებიანი ციფერბლატი 27. ცეკვისას მოძრაობათა პერიოდული მონაცვლეობა 28. ქმრის ძმა 29. გამოუწვავი აგური, რომლითაც ბაბილონში შენობებს აგდებდნენ 30. კომპოზიტორი ... მორიკონე

თარაზულად: 5. ნივთიერება, რომლის მოლეკულა შედგება წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი ატომისგან 8. საფრენი აპარატი, რომელსაც თავდაპირველად წყალბადით ავსებდნენ, რაც ხშირი კატასტროფების მიზეზი იყო 9. წარმართული ღვთაების ქანდაკება 10. ქალაქი, რომელიც 1921 წელს კახთან ერთად გადაეცა აზერბაიჯანს 11. აცტეკების ამ მარცვლოვან მცენარეს მაისას უწოდებდნენ 14. ერთადერთი მაიმუნი, რომელსაც დღისით სძინავს და ღამით ფხიზლობს 20. რომელი ნოტის ჟღერადობის მიხედვით იწყობა ორკესტრის ინსტრუმენტი 21. მათემატიკის რომელი ნაწილის ფუნქციებია სინუსი და კოსინუსი 22. ყმაწვილი, რომელსაც ცვილის ფრთები მზის სიმხურვალემ დაუდნო და ზღვაში დაიხრჩო 26. ორგანიზმის მოწამვლა თირკმლების დაავადების დროს 31. სუსტად გამოხატული მაგნიტური თვისებები, ანუ ... 32. კომპოზიტორი ... კვერნაძე 33. ნილოსის ღმერთი

## ამოხსენი სუდოკუ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 7 | 9 | 2 | | |
| | | | | | | 4 | 6 | 7 |
| 7 | | | 1 | 6 | 2 | | 9 | |
| | 6 | | 9 | 1 | | 7 | 2 | |
| 3 | 4 | | | 8 | 7 | 5 | | 9 |
| | 9 | | | | | 3 | | |
| | | 6 | | 4 | | 1 | 7 | |
| 8 | | 1 | 7 | 2 | | | 4 | |
| 4 | 7 | 3 | | | | | 5 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | | | 3 | | | | 7 |
| 5 | | 1 | | 7 | | 9 | | |
| | | | | | | | 1 | |
| | | 4 | 9 | | 8 | | 6 | |
| | 8 | | | | 3 | | 2 | |
| | | | 4 | | | | | |
| 4 | | | 1 | 5 | 7 | | 3 | |
| 2 | | 8 | 3 | | | | 4 | |
| 7 | 5 | | | | | | 9 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 7 | 6 | | | | |
| | | | | 8 | | 2 | 5 | |
| 8 | 2 | | 4 | | 9 | | 1 | |
| | 9 | | 5 | 1 | | | 3 | |
| 2 | 1 | | | 3 | 6 | 7 | | |
| | 5 | | 8 | | 4 | | 9 | |
| 9 | 6 | | | | | | | 8 |
| 1 | | 5 | 6 | 7 | | 4 | | |
| | 7 | 4 | 2 | 9 | | 5 | | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | 3 | 2 | | 5 | |
| | | | 7 | | 5 | 3 | 9 | |
| | | | | | | | | 4 |
| | | | 6 | | | | | |
| | | | | 5 | | | 3 | |
| | 3 | 1 | | | 4 | 6 | | 2 |
| 9 | | | | 7 | 8 | 4 | 1 | 5 |
| | 8 | 5 | | | | | | 3 |
| 3 | 7 | | | 6 | | | | 8 |

თქვენს წინაშეა სუდოკუს სტანდარტული დაფა. ის არის კვადრატის ფორმის და შედგება 3X3-ზე ბადით. სწორედ უნდა შეავსოთ ცხრილი რიცხვებით 1-9 მდე. თამაშის მიზანია დაფა შეივსოს ისე, რომ ერთ რიგზე შვეულად და თარაზულად არ განმეორდეს ერთიდაიგივე რიცხვი.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | 7 | | 9 | | 3 | |
| 7 | 3 | 4 | 6 | | 2 | 5 | | 8 |
| 2 | | | 3 | | 8 | 7 | 6 | |
| 5 | | | | 9 | 3 | 4 | | |
| 1 | | 7 | | | | | | 3 |
| | | | 8 | 6 | | 9 | | 5 |
| 9 | 2 | | | | 5 | | | 1 |
| | | 1 | 2 | 7 | | 3 | | |
| | | | 9 | 8 | | | 5 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 5 | | | 1 | 6 | | |
| | 7 | 6 | | | 9 | | | 8 |
| | 8 | | | | 6 | | 7 | |
| 7 | | | | 3 | 2 | | | |
| | | | | 9 | | 4 | | |
| | 5 | | | | 4 | 9 | | 2 |
| 1 | | | 4 | | 7 | 8 | | |
| | | | 9 | | | | | |
| 5 | 2 | 4 | | 8 | | | | |

შოთა ბეგაშვილი და გოჩა ალუღიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გია და ინგა ლეკაშვილებს ბიძის
რობიზონ (რობა) ლეკაშვილის
გარდაცვალების გამო.

# ლევან წიკლაურმა პარიზში პროფესიონალურ კრივში გამარჯვება მოიპოვა

**1 დეკემბერს საფრანგეთში პროფესიონალურ კრივში ჩემპიონატი გაიმართა, სადაც დედოფლისწყაროელი ერთერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენიც მონაწილეობდა. საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში სარეიტინგო ბრძოლაში ქულათა უპირატესობით გამარჯვება მოიპოვა დედოფლისწყაროს სპორტულ კლუბ „ჩემპიონის“ მოკრივემ, 25 წლის** ლევან წიკლაურმა.

გაზეთ „შირაქის“ ცნობით, მისი მოწინაალმდეგე იყო ჯოფრი დოს სანტოსი. მთლიანად 6 რაუნდიანი ბრძოლა 59 კგ. წონით კატეგორიაში გაიმართა. ყველა რაუნდში ლევანმა აშკარა უპირატესობა მოიპოვა, გამარჯვებული გახდა და პროფესიონალური კრივის რეიტინგში კიდევ დაწინაურდა.



მსოფლიოს და ევროპის პრიზიორმა კიკბოქსინგში ლევან წიკლაურმა „შირაქს“ განუცხადა, რომ ძალები პროფესიონალურ კრივშიც მოსინჯა და რეიტინგში წარმატებით დაწინაურდა.

„ნამდვილად ლამაზი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მოვახერხე და ეს ბრძოლა შორეულ საფრანგეთში აშკარა უპირატესობით მოვიგე. არადა, საკმაოდ ძლიერი მეტოქე იყო, მას პროფესიონალურ რინგზე 11 მოგება და მხოლოდ 1 მარცხი აქვს, ამიტომ საპასუხისმგებლო იყო მასთან შერკინება და ადვილი არ იყო მისი დამარცხება. საქამრე ბრძოლა wbc ტიტულში მიმდინარე წლის ივლისში იტალიაში ჩავატარე, ქალაქ რომში ვიასპარეზე. ეს პროფესიონალური სარეიტინგო ორთაბრძოლა, პარიზში შედგა. ყველას დიდ მადლობას ვუხდი, ვინც დამეხმარა ამ წარმატების მიღწევაში. სარეიტინგო ასეთი ბრძოლების ჩატარება კიდევ ბევრჯერ მომიწევს. ზაფხულში უკვე ვიბრძოლე A კლასის მსოფლიო ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად. WBC ქამარზე კარგად ვიბრძოლე, მაგრამ მიკერძოებული გადაწყვეტილება იყო და 2 ქულა დამაკლეს. საოცარი ადგილია პარიზი. ერთი ოცნებით ნაკლები დამრჩა,“ – განაცხადა ლევან წიკლაურმა.



არცთუ ისე დიდხნიანი სპორტული კარიერის განმავლობაში ლევან წიკლაურის მიერ მოპოვებული ტიტულები ასე გამოიყურება: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი; ტაილანდურ კრივში საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული; კიკბოქსინგში საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული; ევროპის ჩემპიონატზე კიკბოქსინგში WKO-ს ვერსიით მესამე ადგილოსანი;




მსოფლიო ჩემპიონატზე WKF ვერსიით მეორე ადგილოსანი; K1 წესებით პროფესიონალურ ბრძოლებში გამარჯვებული. არცერთი ბრძოლა არ წაუგია კრივში, რომელიც საქართველოში გამართა. აპირებს პროფესიონალური კრივის მსოფლიო რეიტინგშიც წარმატებით, ნაბიჯ-ნაბიჯ დაწინაურდეს და სათავეში მოექცეს. ეს მისი უმთავრესი მიზანია და მისაღწევად ძალღონეს არ დაიშურებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# ერთი ლამაზი დღე

მთელი ღამე არ გვძინებია მე და ჩემს მეგობრებს.. ნისლი ებურა ჩემს ლამაზ სოფელს, გამარჯვებას, მაგრამ განთიადი ჯიუტად გზას უკაფავდა ნისლსა და ბურუსში 2018 წლის 24 ნოემბერს.

სამარშრუტო ავტობუსმა გეზი თბილისისკენ აიღო.. როცა ფოლკლორისტთა წრის წევრებმა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის კარი შევაღეთ, მივხვდით, რომ ლამაზი და სასიამოვნო დღე გველოდა.

რეგისტრაციის გავლისას ყველა მონაწილეს გადმოგვეცა საჩუქრები და მონაწილის სამკერდე ნიშანი. შემდეგ საგამოფენო დარბაზში მიგვიწვიეს, სადაც იმართებოდა ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-19 კონფერენცია, რომლის ხელმძღვანელი იყო ეროვნული სასახლის პროექტებისა და პროგრამების განყოფილების უფროსი ქალბატონი ცისანა ხაზარაძე. ამ ღონისძიებების მონაწილენი გახლდით ჩვენ, გამარჯვების საჯარო სკოლის, მეცხრე კლ მოსწავლეები მარიამ არაბული, ლიზი გიგაური და მირანდა გორაშვილი მალხაზ ცალუღელაშვილი და ბესო არაბული.



საგამოფენო დარბაზში შესვლისთანავე თვალი მოგვტაცა მოსწავლეთა ხელნაკეთმა ნივთებმა. ჩვენი სკოლისთვის განკუთვნილ მაგიდას ამშვენებდა მირანდა გორაშვილის, მალხაზ ცალუღელაშვილის და ბესო არაბულის ფანტაზიით შექმნილი ხელნაკეთი ნივთები, რისთვისაც მათ დიპლომები დაიმსახურეს.

ჩვენმა ჯგუფმა ფოლკლორის კაბინეტში გადაინაცვლა. უამრავ მოსწვლეს მოეყარა აქ თავი. ისინი საკუთარ „მონაპოვარს იცავდნენ“. არც ჩვენ გაგჭირვებია ჩვენი „მონაპოვარის“ – ზეპირსიტყვიერების ნიმუშების დაცვა.



თემამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ჟიურის წევრებმა არ დაიშურეს მადლიერებისა და შექების სიტყვები. სექციის ხელმძღვანელმა კი დიპლომები გადმოგვცა და წარმატებები გვისურვა მარიამ არაბულს, ლიზი გიგაურსა და მირანდა გორაშვილს.

წარუშლელი შთაბეჭდილება სარკეებიანმა დარბაზმა დატოვა, სადაც გაიმართა შეკრების დახურვა. სიმღერას ცეკვა ენაცვლებოდა, ცეკვას – ლექსი, ლექსებს პროფესორ-მასწავლებელთა ქებისა და მადლიერების სიტყვები.

ეს დღე მართლაც ლამაზი და სასიამოვნო იყო. ამ დღის გალამაზებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნელი შანშიაშვილს. ლომის წილი კი ეკუთვნის ჩვენი სკოლის დირექტორს ქალბატონ ნინო სულიაშვილ-არაბულს, რომელმაც ფინანსურად უზრუნველყო ჩვენი მივლინება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში.

ულრმესი მადლობა მათ ამ ლამაზი, დაუვიწყარი და წარმატებული დღის ჩუქებისათვის.

**გამარჯვების საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეები:**
მარიამ არაბული, ლიზი გიგაური,
მირანდა გორაშვილი.


**იყიდება!**

იყიდება კერძო სახლი დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩა №160 (ჰერეთისა და ალადაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან ახლოს)
დაგვიკავშირდით:
☎ 599-87-56-22; 599-40-96-19
გიგო ბოსტაშვილი


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 10.12 დღე | ორშაბათი 10.12 ღამე | სამშაბათი 11.12 დღე | სამშაბათი 11.12 ღამე | ოთხშაბათი 12.12 დღე | ოთხშაბათი 12.12 ღამე | ხუთშაბათი 13.12 დღე | ხუთშაბათი 13.12 ღამე | პარასკევი 14.12 დღე | პარასკევი 14.12 ღამე | შაბათი 15.12 დღე | შაბათი 15.12 ღამე | კვირა 16.12 დღე | კვირა 16.12 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5° | 4° | 8° | 5° | 5° | 4° | 4° | -2° | 2° | 0° | 6° | 4° | 7° | 5° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.